


ნეშადური



№ 7.

ყოველკვირეული ჟურნალი



ილია ჭავჭავაძის ცხედრის მესვეღრა ვერსე.



ილიას ხსოვნას.

„რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“

მიბაძვა ილია ჭავჭავაძეს.

(უძღვნი კატო პეტრიაშვილისას)

ათას რვაას ოცდა ჩვიდმეტს,
როს ილია დაიბადა,
დედა მისმა თითო ბავშვი
ქართულ ჰანგზე გამოზარდა—
რა ვაკეთეთ რას ვშვრებოდით?
— თამარ მეფის გმირობაზე
ემღეროდით და ყურს უტკობდით.

მერმე, როცა ამ სიმღერით
ქორთა ბავშვი გაიზარდა,
ფხიზელ ჭკუით, ნაზი გულით
სხვა მის ტოლებს ის არ გავდა—
რა ვაკეთეთ რას ვშვრებოდით?
— საქართველოს ისტორიას
უკითხავდით, მით ვართობდით.

მერმე, როცა ასე გაზრდით
ის შეიქნა ვარგებული,
რუსეთიდგან დაგვიბრუნდა
ცოდნით, ჭკუით ფას დებული—
რა ვაკეთეთ რას ვშვრებოდით?
— ბანკის მოვლა-პატრონობა
იკისრეო, ვაძალებდით.

მერმე, როცა ჩვენი ბანკის
საქმე კარგად მიდიოდა,
სარგებლობდა წესიერად
ზარალი არ მოსდიოდა—
რა ვაკეთეთ რას ვშვრებოდით?
— პარტიული გამწვავებით
ურცხვად პირში ვაგინებდით.

ჟურნალი „ცისკრის“ მკითხველებს,
ახალი დრო რომ დაუდგა,
სამოც-სამოც წლის მუშაკთა
ჭავჭავაძე თავში უდგა—
რა ვაკეთეთ რას ვშვრებოდით?
— წერა-კითხვა შევისწავლეთ,
მისი ლექსით ვსარგებლობდით.

სწორედ სამოცდა სამს წელსა,
მგოსანი რომ „კაცს ეძებდა,
„საქართველოს მოამბეში“
ენა და ნიჭი გამეფდა—
რა ვაკეთეთ რას ვშვრებოდით?
— მწიგნობარნი შევიქენით
ვეარჯიშობდით, ფხიზლდებოდით.

ჭავჭავაძის თხზულებითა
ყველანი, რომ განვითარდით,
თავადნი და გლეხნი ჩვენს თავს

თანასწორად—ძმებად ვრაცხდით,
„ქართლის დედას“ „გუთნის ფეხზე“
და მის „მუშას“ მცნებად ვუძღვებოდით?
რა ვაკეთეთ რას ვშვრებოდით?
— წოდება გავასწოროთო
ერთმანეთს ვებვეწებოდით.

სამოცდა ჩვიდმეტსა წელში,
„ივერია“ დაგვიარსა,
საუცხოვო წერილები
ამ გაზეთში მოათავსა,
ყმაწვილებს ნიჭი უფხიზლა
გაუბრწყინვა, უალმასა—
რა ვაკეთეთ რას ვშვრებოდით?
— ეხლა ჩვენს ერს არა უჭირს
სიხარულით მაღლა ებჭობდით.

როს ოთხმოც—ათიან წელსა
ჩვენში გამოჩნდნენ „დასელნი“,
რომელთაც ერს უკარნახეს
სულ სხვა ჭირი და სხვა სენი—
რა ვაკეთეთ რას ვშვრებოდით?
— ჩვეულებრივ ვიცინოდით,
შინაურ მანკს ვერ ვამჩნევდით.

მერე, რომ სენი მოგვედო
ხოლერაზე უარესი,
მოზარდ ბალებს შეაზიზღეს
ქართველის ძენი უკეთესი—
რა ვაკეთეთ რას ვშვრებოდით?
— კეტის, რეტის გვეშინოდა
ლაჩრულად ვიმალებოდით.

მერე როცა კრძალვით-მაღვით
სენი ძვალ-რბილში გაგვიჯდა,
ხალხს ილია შეაძულეს
უგნურობა მას მტრად სთვლიდა—
რა ვაკეთეთ რას ვშვრებოდით?
— რა ვაკეთეთ კიდევ მკითხავთ?
ნუ თუ აღარ დამეხსნებთ?
— ისა ვქენით, რომ ქართველნი
ყველა ერებს ვეჯავრებით!

ჩვენს კარგ მამას, მცხოვან მგოსანს
შუბლი უღვთოთ დაუშტვრით,
პოეზიით სავსე გული
ზურგის ძვალზე მიუმწყვდიეთ,
მისი სისხლი, უხვად რწყული,
ქუჩის ძაღლებს ვათქვეფიეთ,
პატივცემულ მის მეუღლეს
ლოყის ძვლები ჩაუშტვრით.

გლეხის შვილი იაკობი,
რომელიც მან გამოზარდა,
მამა შვილურ აღერსით, რომ
სიყვარული შეაზარდა
ამ ბავშს ჩვენ ეს სიყვარული
დედის ცრემლად გადუქციეთ,
ათი ტყვია მკერდში ვკარით—
სისხლი ღვიძლში ჩაუქციეთ,
ქართველებმა საქართველო
აი ასე დავაქციეთ!

ჩვენმა ღვაწლმა და მოძღვრებამ
ეს ნაყოფი მოიტანა,
ჩვენისთანა უბედური
არის სადმე, სხვა ქვეყანა?!

თავდგირიძე.

სამშობლოს ძმანო და დანო!

9 ამ თვეს უღრმთოდ და ვერაგულად სამ-
შობლოსათვის წამებული ილია მშობელმა მისმა,
როგორც ქეშმარიტი ღვიძლი შვილი, ჩაიკრა სა-
მარადისოდ თავის მშობლიურ გულმკერდში!.. მი-
სვენა იგი, როგორც წინამორბედი თვისი ცხოვ-
რებისა—თვისი არსებობისა!.. და გულამოსკენი-
ლი ცხარისა ცრემლებითა და ნაღვლიანისა ხმითა,
მიმართა თვის სანუგეშო და საიმედო შვილის
ილიას მკვლელს—ბოროტ ავაზაკებსა:

აწ, თქვენთვის არამი იყოს ჩემი ამაგი! თქვენ-
დამი ჩემი ზრუნვა, შრომა და ღვაწლი!—ჩემი
მშობლიური ტკბილი ძუძუ, რითაც გაიკვებებით!
შიშვლები შეგმოსეთ, ობლები დაგვაუკაცეთ, ცო-
ტათ თუ ბევრად ცხოვრების სასპარეზო მოედან-
ზედ გამოგიყვანეთ, იქნებ მომშველებოდით და ჩემს
ძველს წყლულებს მალამოს დამიდებდით და მით
ტანჯვა-მწუხარებას შემიმცირებდით და დამაიმე-
დებდით—მეთქი, მაგრამ ამაოდ!.. თქვენისთანების
შობასა, ქვა რომ მემოზა იქნებ სამშობლოს სა-
ხეიროდ საღვამებზე ანუ გზა-ტყეცილებზედ მაინც
მოხმარებოდა, ხოლო ამგვარი შემარცხვენი, სა-
ზარელი და თავ-ზარ დამცემი შემადრუწუნებელი
საქციელი არ მომხდარიყო?!.

თქვენ მოჰკალით საუნჯე ჩემის ცხოვრებისა!..
თქვენ დამიბნელეთ სინათლე ჩემის არე-მარისა!..
თქვენ დაჰკმეთ ჩემი ვინაობა!.. თქვენ უარჰყავთ
ჩემი წარსული, რომელიც იწყება შორეულ ისტო-
რიის საზღვარს იქითა!.. თქვენ დამასახიჩრეთ!..
თქვენ დამამახინჯეთ!.. ამომთხარეთ შანთებით
ორთავ-თვალები!.. ამომგლიჯეთ ენა, გულღვიძლი
ისე, როგორც უღმობელმა ჯალათმა!..

აწ, ძალ აღარმიძს! დასტკბით ჩემის სისხლი-
თა, გაიხარენით სამშობლოს მტრებოვო!

აი ამგვარის ცხარე ცრემლებითა და წყევა-
კრულვით მოგმართათ სამშობლომ, ილიას სამარ-
საგან, ამ გულ შემზარავ საქციელის გამო, მაგრამ
მშობლიურის კილოთი გამოანათქვამი ნაღვლიანი
გოდება თქვენ ყურთა სმენას ეოთირება! და არა
გსურთ გაიგოთ ის, რაც თქვენთვის საინტერესო
არაა და რაც თქვენთვის უმნიშვნელოა!..

ოჰ! ღმერთო ჩემო! ეს რა გადაქარბებული, რა
მახინჯი და რა თავ-ზარ დამცემი მოვლენაა?.. განა
მოსაზრებული უნდა ყოფილიყო ესეთი საზიზღარი

საქციელი?.. ვინმე ვარდის კონითა რომ შეგებოდა
ილიას, ესეც არ ეპატიებოდა!.. მტრებზედ შესატე-
ვი იარაღი, იხმარებოდა განა სამშობლოს საუკე-
თესო შვილზედ?.. სირცხვილი თქვენს ვაჟაკო-
ბას!.. სირცხვილი თქვენ მამულისშვილობას, თქვენს
ადამიანობას!.. განა დღეის იქითა შეგიძლიათ
სთქვათ, რომ ჩვენც ვართ ადამიანო?!. არა! ამის
თქმის უფლება დღეიდან სამუდამოდ დაკარგული
გაქვს!

აბა ერთი მითხარით, რას ერჩოდით იმ მწუ-
ხარს და მშვიდობიანს მოხუცს?.. რა დააშავა მან?
რამ მოგაფიქრებინათ და გადაგაწყვეტინათ ეგ შხა-
მიანი საქციელი? იქნებ იმისათვის მოჰკალით იგი,
რომ დაულაღვათ იბრძოდა თავის სამშობლოსათვის?
იქნებ იმისათვის მოჰკალით ის დიდებული მგოსანი,
რომ იგი დიდს თაყვანს სცემდა დედა ენას და თა-
ვის ქვეყნის ერსა?.. იქნებ იმისთვის აწამეთ ის
მეცნიერი, რომ იმან ყველას ამცნო და შთაუ-
ნერგა განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა
ეროვნული გრძნობანი და სიყვარული?..

შეცდით, თქვე უგუნურებო! შეცდით და ვერ
გაიგეთ მისი ცხოვრება, მისი მიმართულება, მისი
სერიოზული აზრები და ოდნავადაც ვერ დააფასეთ
იგი! მისთანა სულმნათ მოღვაწეებს სხვა განათლე-
ბულ ქვეყნებში სიცოცხლეშივე ძველს უგებენ,
ხელით ატარებენ და სულში ისმენ. თქვენ კი გულს
უგმირავთ და ზედ მეტ ჩირქსა სცხებთ! რისი იმე-
დი გაქვთ? თუ დღეს ცხოვრების ჩარხი მრუდეთ
ტრიალებს, ნუ გგონიათ რომ ეს ხანგრძლივი იყოს!
ცხოვრება მალე ჩავარდება თავის კალაპოტში, ის
მალე დაიწყებს ჩვეულებრივად ტრიალსა და პირ-
უთვნელად აღნუსხავს ყოველივე იმას, რაც თქვენ
ჩაიდინეთ, მოიხვეჭეთ და დაიმსახურეთ!

დიად! დიდი დანაშაული მიგიძღვისთ, რო-
გორც ილიას - ისე სამშობლოს წინაშეც, მაგრამ
ჯერ კიდევ საშუალება გაქვთ, ოღონდ კი გულ-
წრფელად მოინდომეთ და ხმა მალლა აღიარეთ
საქვეყნოდ:

„ჩვენ სინიღისმა გვიღალატა, უგუნურებამ შე-
გვაცდინა, შურმა დაგვძლია, გთხოვთ მოგვიტევოთ;
თქვენ სულგრძელი და მომთმენი ბრძანდებით,
მუხლ მოდრეკილი თქვენს წინაშე შენდობას ვით-
ხოვთ—გვაპატიეთ შეგვინდეთ! ვიცი და მჯერა ილია
ისეთი სულგრძელი და გრძნობა მაღალი არსება
არის, რომ ვაპატიებთ და თან სამშობლოს წინა-
შეც იშუამდგომლებს, რომ თქვენ აქაც იქმნეთ
შენდობილნი!

აი თქვენდამი ჩემი რჩევა და დაროგება, თქვე
უბადრუქო და მუხანათნო!

მემედ-ბეგი აბაშიძე.

პროლეტარი და ბურჟუა.



პროლეტარი. თქვენ აღბათ არ იცით რა არის შიმშილი?

ბურჟუა. რაგორ არ ვიცი, რადესაც სამსუქ-ნისაგან ვაქამობ და რაც მინდა იმას არ მაჭმევენ!

ილიას ხსოვნას.

კვლავად ასტირდა სამშობლო,
ასტირდა მთა და ბარია;
მოგვიკლეს ჩვენი მგოსანი...
ვილა გვყავს მისი დარია?!

კვლავად შეჩერდა სიციცხლე
და გულის სიხარულია;
ძმებო, იტირეთ, აღარ გვყავს
ჩვენი გამზღელი ილია!

ა. გათომია.

ცაო, იჭექე, დედაშიწას შეატყობინე!
ვანსკვლავო, მასწყდა! ზიზღით ამტნე მკვლელის მშა-
ბელსა,
რომ მის ნაშობმა ჩვენ მოგვიკლას ის, ვისაც მშერდა
ამერ-ამერა; რაგორც თავის მანათობელს.

თვადებო, მდუღრად გადმოდვარეთ მწარე ცრემლები...
გულა, შენც გასკდი, მოგხვედრადეს თათქოს ღახსარი;
სულა, შეშოთდაი, შეირყეუ, შესწყვიტე სუნთქვა...

და მგოსნის მკვლელებს შევეთვალათ გრუფის თავზარი!..

მაკლეს კი, მაგრამ ესეც ვკითხოთ...
ამ მკვლელობის დროს რას ფიქრობდა მათი გონება?
ამას რას ფიქრობ, გული მიწუხს სული დონდება;
ბევრის თქმას მსურს, მაგრამ სიტყვა და ენა დუნდება!..

მგოსანი მთავარა, დედა მონილა, ნუ-თუ ამისთვის
ტყვიან მოგანტყეს ჯერეთ თავში და შემდეგ გულში,
რომ ამბობდი მას: „მუდამ-ყავს მსურსო მამძეთ ვიყო
მე ჩემის ერის სიმწარეს და სიხარულში?“

შენ მოგკლეს, მაგრამ შენს სიკვდილთან ჩვენც ვართ
| მკვდრები,
შენმა სიკვდილმა გაახსნა ბევრი ჩვენ მტრები;
შენ მოგკლეს, მაგრამ არ კვდებათ შენისთანება,
ხორცით მოგვმოხდა, სულით ჩვენთან დაიარება!..

დაიარება!.. მაგრამ ვწუხვართ, ცრემლებს ღვრის
| თვალი...
და რომ არ ვიცით შენს მკვლელობაში ვის დავდეთ ბრალი
და გვგომბოს ამისთვის აწმყო, ნამყო—მთელი ქვეყანა
და ისტორიაც ხომ თავს მოგვჭრის, ვაჰ ჩვენი ბრალი!..

ვარდენ ღვანკითელი.

თოვლის ფიფქი.

(ბ. გვირიდან)

როცა შიმშილმა და სილატაკემ ისინი უკიდუ-
რესს განწირულებამდე მიიყვანა, გადასწყვიტეს
მისულიყენენ მბრძანებელთან და თხოვნით მიემარ-
თნათ. გულუბრყვილოდ სწამდათ, რომ თხოვნა
გასკრიდა. ისინი თითქო საყდარში მიდიოდნენ
მშვიდობიანად, ღრმა ფიქრში გართულნი.

იმ დღეს ზამთრის მზე უხვად ჰფენდა სხივებს
დედა-მიწას. სხივები თეთრს სპეტაკ თოვლზე თა-
მაშობდა და თვალს სჭრიდა ადამიანს. ცაზე კი
ფართოდ იყო გამოკომული ცისარტყელა. ისინი
შესტკეპროდნენ მას და ამბობდნენ:

— ეს ჩვენთვის ნიშანია! ბოლო ედება ჩვენს
წვასა და დაგვას, ჩვენს სილატაკეს...

მბრძანებელი არ გამოვიდა მათთან. იგი არ
დაუხვდა მათ მამაცურის გულით და მშვიდობიანი
სიყვარულით, როგორც ეგონათ. მან მხოლოდ
ჯარი გამოგზავნა და ჯარმაც ისინი დახვრიტა...
სისხლმა თეთრი სპეტაკი თოვლი ააფერადა და
მკრთალად დაიწყო ბზინვა მზის სხივებზე.

გვამები აკრიფეს... ვინც კი, ზარ-დაცემულმა,
დაიყვირა, ყველა გაისტუმრეს ქაობიან და ციებ-
ცხელებიან ადგილებსკენ. ყოველისფერი ჩანთქა
სახარებლმა დუმილმა. მხოლოდ აღისფერი წინწყ-
ლები სპეტაკ თოვლზე მკრთალად ელვარებდა.

ღამის წყვილიადა მოიცვა არე-მარე. მრისხანე
ღმუილით დაჭკროლა გრიგალი. აუარებელმა თოვ-
ლის ფიფქმა, ქარისაგან ათამაშებულმა, თვით ცას

მილწია. ამ თეთრ ქარ-ბუქში თოვლის ფიფქი, სისხლით შეღებილი, ლალსავით ღუოდა ღამის გუშავის ნათელზე, რომელიც ელდა-დაცემული გარღვეულ ღრუბლებიდან გამოიყურებოდა.

გრიგალი თოვლის ფიფქს მიაქროლებდა შორს... შორს... ფიფქი მოკრძალებით ურახუნებდა უბრალო ქონების, მედიდურ სასახლეების სარკმელს. ზარ დაცემული ხალხი შეჰყურებდა ამას.

— ეს სისხლია ჩვენი ძმების,— გაიძახოდა იგი.

— ჩვენ თქვენი ძმების სისხლი ვართ,— შრილებდა თოვლის ფიფქი.

და იქ, სადაც ეცემოდა, სდგებოდა მებრძოლი რაზმები. მძლავრად გაისმოდა მათი ძახილი: „თავისუფლებისათვის, დაღუპულ ძმებისათვის, საერთო თანასწორობისათვის!“

ფართო ნაკადულით მოსჩქეფდა სისხლი. ღამე, მთვარის მკრთალ ნათელზე თოვლის ქარ-ბუქი წითლად მოსჩანდა. მრისხანე აჩრდილივით დატანტალებდა იგი უსაზღვრო მინდვრებზე, სოფლებსა და ქალაქებში დაუბატიყებლად შედიოდა.

გაშმაგებულ ღმუილში ეს ღა ისმოდა:

— მე თქვენი ძმების სისხლი ვარ!

ამბობენ, მალე დადგებაო კიდევ გაზაფხული. გაივლის გრძელი ღამე და თავისუფლების ბრწყინვალე მზე ამოაშუქებს ლაჟვარდ უღრუბლო ცის ტატნობზე. მაშინ, სწორედ იმ ადგილს, სადაც დადნება თოვლის ფიფქი, მშვენიერ ალისფრად აფერადდება ყვავილი, ვარდი. ბავშვები ჟივილ-ხივილით ამ ყვავილებს მოსწყევტენ, მოამზადებენ გვირგვინებს და შეამკობენ მხიარულის სიმღერით უცნობ გმირების სამარეებს.

აი რას ამბობენ თოვლის ფიფქის შესახებ.

ბრილილი.

გათავდა ჩვეოლიუცია

თუ ჯერ არ გათავებულა?

სწორედ იმ საარაკო გლახას ვგევართ, სიზმარში რომ ცხვრის ფარას ევაჭრებიდნენ და თითო ცხვარში მანათს აძლევდნენ; ის კი სამ მანათ ნაკლებ არ იმეტებდა. მერე, როცა გამოფხიზლდა, მარჩილადაც უთმობდა ცხვარს, მაგრამ ვაი რომ აღარც ფარა იყო, აღარც მყიდველი.

სიზმარსავით გაქრა ის დრო, როცა ბიუროკრატია „ზემსტვოს“ (ერობას) გვაძლევდა, ჩვენ კი დამფუძნებელს კრებას ვითხოვდით. ბევრი რამ დაუთმეთ მას აქეთ იმ ნაზმანები თავისუფლების შესაძენად და ახლა, როცა სინამდვილემ თავში ჩაგვკრა, ლამის შევეხვეწით: „ჰო, კაია! წაიღე შენი კონსტიტუცია და ეს სამხედრო წესი მოგესხენ მანცა“...



მონა. ბეკლემიშევის ქანდაკება.

კარგად ვხედავთ, რომ რევოლიუციას მუცელი წაუხნდა, მაგრამ მაინც თავს ვიტყუებთ და ველით ოქროს ქოჩრიან თავისუფლებას.

ველით სასწაულოს, რომელიმაც ყველა წაგებულ იერთაშად უნდა დაგვიბრუნოს და გვჯერა, რომ ეს სასწაული დიდმა რუსეთის ხალხმა უნდა მოიქმედოს. რუსი ხალხი მოიგებს ვითომც ბრძოლით თავისუფლებას და მოგვმადლებს ყველას თანასწორად.

მერე, საბუთი?

რუსი ხალხი ვითომც ნორჩი ბუმბერაზია, რომელიც აქამდის აკვანში იწვა, მონობის არტახებით მიკრული. ახლა კი წამოდგა და მხრებში გაიმართა. ჯერ თავისუფლების გემო არ უცვნია, მაგრამ თუ ერთი იგემა, დიდი ღვაწლის ჩამდენია და დიდებული მომავალი მოელისო.

ასე ვგჯერა. იმას კი ვერ ვხედავთ, რომ ათასის წლის ჭაბუკს აკვანში წოლით პირი დაღმეკია, თმაში ჭაღარა შერევიდა და ძვლებში სიბერის უძლურება შერევიდა.

რას უნდა მოველოდეთ მაგ ბუმბერაზის ქაბუკობისაგან?

ეგ ბუმბერაზი არ იყო, თავისუფლების გე...

მოცხადების მეორე დღეს რომ თავისუფლების მეომარნი შავ-რაზმებს გააჟღერებინა?

ეგ არ იყო, რომ მისივე ამორჩეული წარმომადგენელი, მისი ბედის ამაგდარი ორჯულ გაუპანდურეს,—და კრინტიც არ დაუძრავს, ყურიც არ დაუბერტყია?

ეგ ბუმბერაზი არ არის, რომ ორიოდ ნამცეცი მოგებულის სიმართლისა ვერ შეუმავრებია და ჩერჩეტს ხელიდან ხან სტაცებენ და ხან სცინკლავენ?

ეგ არ არის, რომ ახლაც გულ-ხელ-დაკრეფილი უცქერის, როგორა ჰყრიან ათასობით თავისუფლების მოციქულებს ციხეში და გზავნიან ციმბირში?

რა თავისუფლება გამოუვა ხელიდან იმ ხალხს, რომელსაც თუ არ მთავრობის ჭკუით და მთავრობის ხელით თავის პოლიტიკურს ცხოვრებაში ვერა გაუკეთებია რა?

ან რომელი წოდებაა იმ სასწაულის მომქმედი, ვინ უნდა დაამკვიდროს თავისუფლება?

რუსეთის ინტელიგენციამ, უმოქმედობაში აღზრდილმა მგონებელმა? იმ დამბლა ინტელიგენციამ, თავის თავისავე უნდობმა, საერთო მოქმედებაში უწევრთენელმა, რომელმაც, —შჩედრინის თქმისა არ იყოს,—თითონაც არ იცის რა უნდა: ჩადებულნი თართი, თუ კონსტიტუცია, თუ კიდევ მთავე კიტრი?

რუსმა გლეხობამ, უვიცმა, დამშეულმა, ცრუმორწმუნემ, რომელიც რევოლიუციამში მებატონის აკლებასა და სტრაჟნიკის მოკვლის იქით ვერ წასულა?

რუსმა მუშა ხალხმა, რომელიც თავისუფლების მოედანზე საბრძოლველად ვერ გამოვა, თუ მღვდლებმა ხატებით და ჯვრებით არ გამოიტყუეს?

ვისის იმედით ვიყოთ, ვინ გამოიდებს თავს ჩვენის თავისუფლებისათვის: თავად-აზნაურობა, სამღვდლოება, მეშჩანობა, რომელთაც შექმნეს შავი რაზმები?

არა შეჯდა მწყერი ხესა არა იყო გვარი მისი.

ხუთასი წელიწადია რუსი ხალხი „აგროვებს მიწებს“ და შავის გულისათვის ყველა ხორციელი და სულიერი დაივიწყა: შექმნა ძლიერი და შეუღრეკელი მთავრობა, რომელმაც ხუთი თავის ქვეყნის ოდენა ყმა დაიპყრა.

რად უნდა მაგისთანა ხალხს თავისუფლება თუ ბატონობა აქვს?—რო თავის ყმებს უღელი მოხსნას, თავის სწორად გაიხადოს და მამა-პაპეული ნაჭირნახულები შეაქმეინოს?!

რად? თუ საქმელია, აზირ, თითონ ქამოს!..

ასე ფიქრობს ყველა „ნამდვილი რუსი“ და ეს ყბად-აღებულები „ნამდვილი რუსი“ დღითი-დღე მატულობს.

ვერც იფიქრებს სხვა ნაირად ვერც ერთი ბატონი—ხალხი, ვისაც საბრძანებელი მოუხვეჭია ინგლისელს, ფრანგს, გერმანელს თავისუფლება და თანასწორობა თავისთვის უნდა, და არა ინდოელისა, არაბისა და ზანგისათვის. თუ მისცემს რასმე ამ საკეთისას, იმდენს მოუჭრის, რომ თითონ არამც თუ დააკლდეს რა, ვინძლო მოიგოს კიდევცა.

ასეთი პოლიტიკა ჩვენ ბარბაროსობა გვეგონია, რადგან იმდენად „დავწინაურდით“, რომ სახელმწიფოებითი მცნება სრულებით დაგვეკარგვია. მაგრამ წარმოიდგინეთ ერეკლე მეფის დროინდელი ქართველი, რომელიც სამეფო ტახტის დამხობას მოინდომებდა, იმისთვის რომ განჯისა და ყაზახ-ბორჩალოს თათრები ხარკისაგან გაეთავისუფლებინა.—

ბევრს მომხრეს იშოვიდა საქართველოში მაგისთანა რევოლიუციონერი?

თუ სახელმწიფო ინტერესის უარყოფა ერეკლე მეფის დროინდელ ქართველისაგან დაუჯერებელია, რად უნდა იყოს მოსალოდნელი ახლანდელ რუსებისაგან?

მით უმეტეს, რომ სახელმწიფო ინტერესის შეგნებით ახლანდელი რუსი არ დაუვარდება მეთვრამეტე საუკუნის ქართველს, რე დასაკარგიც მეტი აქვს.

უკანასკნელმა ქვეყნის აშლილობამ გამოარკვია სახელმწიფოებითი პრინციპი და დაუდლო საფუძვლად იმპერიის მომავალს წეს-წყობილებას.

სულ ერთია როგორც უნდა გამოისახოს ეგ პრინციპი სახელმწიფო სივლეებში, ქართულად კი ასე გადაითარგმნება: რუსეთი რუსების მამულია და განაპირა ქვეყნები, ხმლით და ხერხით ნაშოვნნი, —რუსების საქამადიო.

თუ საქმე ამ დონეზე დამდგარა, დრო არ არის ჩვენცა ვთქვათ.

—აფუ! გვეყო სხვის ხელში ცქერა, ვისიც უნდა იყოს ეგ ხელი, გინდ რუსის ბიუროკრატისა, გინდ რუსის პროლეტარისა, ისევე ჩვენ, და მარტო ჩვენ, ეუბატრონოთ ჩვენს საქმეს.

ვთქვათ და ჩაუჯდეთ პოლიტიკურს ანბანსა და უკირკიტოთ.

ვუკირკიტოთ, სანამ რუსი ხალხი კვლავ მოინდომებდეს ჩვენს განთავისუფლებას.

კიდევაც რომ არ მოინდომოს, მაინც არ ვიქნებით წაგებაში.

რიშ ბაბა.

* * *

ბნეკეთის ძაღლი! მთასდგოდა დასასრულის დღე: თქვენსა ზარზაშსა, ბატონობას ბეფო ედებს; სიანთდის შუქი ევლეჯან წვდება - ჭურღმუღშია ცეკი, დაჭკრა სსათმა... სსაჯა მზე დიდებულათ დემობრწინდება..

მისი სხივები არ დაფარავს თქვენს მურტად სხეს,
ნიდასს აგზდისთ, სამართლის წინ განართხებით;
ან შეინანებთ, უგზუნთ, თქვენს განწინას,
ან და ქვეყნად ლიგებთ, სულ-მთლად განქრებით...

შენ-კი, მშრამელა და ტვირთ-მძიმე, მით ინეტარე,
რამ გითენდება დღე დიადი, დღე დიდებული;
სედავ, იმსხვრევა, იდექება მონობის ჯაჭვი,—
თავისუფლდება დღემდე ტანჯულ-გამწარებული...

ალ. გერასიმოძე.

მომღერალი ქალები.



ს ი მ ღ ე რ ა .

(კოლცოვისა)

ავტარსში ქარიშხალი დმუის, ქქრის და ქქერავს,
კაცსა ზაფრით გამწარებულს გულისა ქქერს და სერავს!
უბადრუკს და მწარე სვედრსა ახსად ეფინება;
სიბერემდის სიუფარული მის არ ევლინება.

მოგტუდი, კაცად ლარა ვარ, ვეღარ ვებრძვი ამ ჭირს,
ქვეყანას რომ ვაკვირდები—მოშორებაცა სჭირს!

ჩემო სვედრა, უცხო სვედრა, სად ხარ დაკარგული?
როდემდისინ უნდა იყო ჩემგან დამალული?

წამოაწი რაც ძალი გაქვს, მოაქნიე ფრთები:
ეგებ ჩვენსა საბედსა თვალთვან მადავს მთები.

თვარა—დავსხდეთ ზღვის პირს, ლოდინს ვმონათ
| მოთმინებით,
ტრფობის გარდა ჭირშიც შევძლებთ სიცოცხლეს ცხოვ-
| რებით!!

ა. ელანძე.

ღვუტატის თავგადასავალი

(სიზმარში ნახული ამბავი)

— რა ამბავია? ნეტა რამ შეყარა ეს ხალხი?
— დეპუტატს აცილებენ „დუმაში“
— მაშ პეტრეს ქალაქში აცილებენ? საწყალი
კაცი! ნეტა ვიცოდე რა ვასჭირებია ასე იმ საბ-
რალოს?
— უეჭველმა, ვასაჭირი დაადგებოდა რამე,
თორემ კკუათ მყოფელი კაცი გაბედავდა ასეთ

საქმეს... დედ-მამა თავ პირს იმტვრევენ, სტირინ
ღ მოსტქვამენ, თითქოს მიცვალებულს აცილებენ...
„ნუ სწუხართ, ანუგეშებდა შვილი, სხვა არა იყოს
რა, დღეში ხომ თითო თუმანი ჯამაგირი შექნება,
ვიყარათებ და და თქვენც ხელს გაგიმართავთ...
მერე კიდენ სახელი ის სხვაო...“

— ეჰ, ის დალოცვილის შვილი! თუმანი კი
არა, ჩემს ვაჭირვებაში დღეში ათი თუმანიც რომ
მოეცათ მაინც აქედან ფეხს არ მოვიცვლიდი! ხუმ-
რობა გგონია დეპუტატობა პეტრეს ქალაქში?..

— გაჩუმდი, ავერ მოდის!.. მოდის!..
— ვინ მოდის?
— დეპუტატია!
— მთერალი ხომ არ არის?
— მაშ თხიზელი მაგას იზამდა?
— ხალხნო, გზა მიეკით!
— მაშ მისდინარ, შვილო, მისდინარ?!
— მიდევარ, მწვიდლობით მშობლებო! მწვიდო-
ბით თქვენც ხალხნო!

— ღმერთმა კეთილი გზა მოგცეს... გვაპატიე,
რომ ამოგირჩიეთ და ასეთ სავერანო ადგრლში
გგზავნით... ღმერთი იყოს შენი შექმნე და მუარ-
ველი!.. ანუგეშებდა დეპუტატს ხალხი.

ამ დროს საიდგანლაც გაჩნდა პოლიცია, მოიქ-
რნენ ყაზახები და სხვა მისთანები.

— ეს რა კაცია?! დაიჭირა პოლიციელმა.
— დეპუტატი ვარ მესამე „დუმაში“ არჩეული!
— რაო! როგორაო? რომელი დეპუტატი!!?
— არჩეული კაცი ვახლავთ! დუმაში არჩეული!
დაადასტურა ხალხმა.

— არჩეული კაციაო? ეი, გაროდოვოი! აბა
წავლე ქოჩორში ხელი და წააბრძანე „უჩასტკაში“.

— როგორ თუ „უჩასტკაში“ იუცხოვა დეპუ-
ტატმა.

როგორ და ასე! მე შენ გჩვენებ დეპუტატო-
ბას! ისეთი „დუმა“ მოგცე, რომ დუმაც შემოგახ-
მეს, სისხლიც გაგიხმეს!! აბა წათოკეთ!

— წათორის და ანგრე! ჩუმად გაიძახის შე-
შინებული ხალხი!

— აი, არჩევანიც ამასა ჰქვიან. დეპუტატის
ხელუხლებლობაც აღბად ეგ არის!

— არ იცით, ხალხნო, რა დანაშაულობისათვის
მიათრევენ „გოროდოვები“ იმ საბრალოს... ტან-
საცემელი სულ შემოახიეს... ხომ არა მოუპარავს
რა... იარალი ან ბომბი ხომ არ უზოვენს?! დახეთ...
დახეთ!.. სცემენ საწყალსა!

— მაშ რა გეგონათ! ოხუნჯობს რუსი ყაზახი.
— მერე რა დანაშაულობისთვის შე დეთის
შვილო? შეეკითხა ყაზახს დედაკაცი.

— ამას პოლიციაში გაარჩევენ! разайдись...
ხალხი დაფთხა და აქეთ იქით დაიფანტა.

— ვინც დეპუტატობა ინატროს და მოინდო-
მოს მესამე დუმაში, უარესი ნუ მოაკლოს წმ. ალა-
ვერდმა!



შესანიშნავი სურათები.



ამური და პსიხეია.

ბუგერის სურათი.

სკარსული სიბრძნე.

ბრძნების ბაასი თანხმობით თავდება, რეგენები-
სა—ჩხუბით.

სანამ კაცი სიბრძნეს ეძებდეს, ბრძნათ ჩაით-
ვლება; მარა თუ სთქვა სიბრძნე ვიპოვეო,—სულე-
ლი ყოფილა.

დამალული სიბრძნე და პატიოსნება თუნდ
არა ყოფილა.

რეგენი თავის მტერია, სხვას მეგობრად რო-
გორ გამოადგება?

ვაჭრის დიდება ქისაშია, მეცნიერისა—წიგნში.

თუ ცოდნა გაქვს, რალა გაკლია?

მორცხვი ბევრს ვერ ისწავლის, ანჩხლი ბევრს
ვერ ასწავლის.

ცოდნა გამოცდილების ნაყოფია და არა წლოვა-
ნობისა.

მეცნიერების სათავე ექვია. ვინც არას ექვობს,
არც არას შინჯავს; ვინც არაფერს შინჯავს, ვერც
არას აღმოაჩენს; და ვისაც ვერა აღმოუჩენია რა,
ბრმა და ბრმად დარჩება.

ნათარგმნი რიშ ბაბასი.

სასამართლოში.

...„პოლიტიკური დამნაშავე დომენტი არა-
ვინაძე, მართმადიდებელი... რამდენი წლისა ხართ?
ეკითხება მსაჯული.


- ოცდა ექვსისა.
- ცოლიანი ხართ?
- არა!
- უცოლო?
- არა!
- ქვრივი ხართ?
- არა!
- არც ცოლიანი, არც უცოლო, არც ქვრი-
ვი! მაშ რა ხართ?
- სოციალ დემოკრატი!..

გესლიანი.

ამ დროინდელი არშიყობა.




ქალი. სიუვარულში მხედოდ ზირველი ნაბიჯია ძნელი.
ვაჟი. მაშ თუ ატრეს მეტრე ნაბიჯიდან დაფიქვით!...



ნიკოლაძის უკანასკნელი ქანდაკება „სალომე“, რომლის ფოტობრაფიულ სურათს აქა ვებეჭდავთ, ამ სამის თვის წინედ ბამოფენილი იყო პარიზის Grand Palais-ში და დიდი ყურადღება მიიქცია საზოგადოებისა და მწერლობისა. ესლა როგორც პარიზიდან გვატყობიანებენ ნიკოლაძე შესდგომია ილია ჭავჭავაძის ქანდაკებას და, ეჭვი არ არის, მალე გვექნება შემთხვევა ვიხილოთ დიდებული კაცის ქანდაკება, დიდი ნიჭის პატრონის მიერ გაკეთებული.

დაწერალებით ცნობებს ნიკოლაძეზე და მის ხელოვნობაზე მალე გავაცნობთ „ნიშადურის“ მკითხველებს.

ტფილისის პროგრესიული პრესა.



იაკობ ნიკოლაძე. ეჭვი არ არის ქართულ ახალს ეროვნულ ხელოვნებაში უმთავრესს ადგილს დაიჭირს ჩვენი ახალგაზდა და დიდათ ნიჭიერი მხატვარი—მოქანდაკე იაკობ (იაშა) ნიკოლაძე რომელიც ამ ქამად პარიზში იმყოფება და ხელოვნებას სწავლობს საქვეყნოთ ცნობილსა და გამოჩენილ როდენტანს.

ი. ნიკოლაძემ ჯერ ისევ აქ იჩინა თავი, როგორც ზე-ბარდმო ნიჭით ცხებულმა მხატვარმა, ხოლო ესლა ორის წლით საზღვარ გარეთ ყოფნის შემდეგ მისი იშვიათი ნიჭი ისე განვითარებულა, რომ მოქანდაკეთა მეფეს,—თვით როდენტანს მოუწვევია იგი, ვითარცა თანამშრომელი თავის ატელიეში. როდენტან მუშაობას ოცნებობენ მრავალნი მხატვარნი, მაგრამ ეს პატივი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია და ამ რჩეულთა შორის ჩვენი იაკობი, თურმე, პირველია.

ეველასა ჰებენს, ეველასზე ღრენს,
 უშუერი კაცის ჭამია,
 სწორი გზა და მართლ-მსჯელობა
 მისთავის სწარედ აწამია;
 დეჩაქ მოხდილ დიაცსაგაით
 ეველასიაუ მადური,
 განსვენების კართან მდგარსა
 მოუხდება ნიშადური!..

ქართული ეროვნული ხელოვნება.



„სალომე“ ი. ნიკოლაძის ქანდაკება.

ღ ა ლ ბ ტ ი .

(გამოცანა)

შარშან პარტიის წევრს მეძახოდნენ,
 ფურთხს ეუფხავნიდი მდიდრების წრესა,
 სულ ვალმერთებდი „პროლეტარიატს“,
 ძალით და ღონით ვუწყობდი ხელსა.
 „მარსელიეზას“ გავიძახოდი,
 დროშით ვუძღოდი მღელვარე ხალხსა.
 „პრაპაგანდურას“ ვწევდი ყოველგან,
 ღმერთად მივიჩნიდი მუნჯებს და ბრმასა.
 წელს კი, შევცვალე მიმართულება:
 აყევე ბილიკზედ „ბურჟუას“ გზასა,
 და მარგანეცით ავსებულ მთებში,
 ვეძებდი „პლასტებს“ *) და მისგან ხსნასა.
 ამ დროს წავაწყდი მთის გრებილებზე,
 რამ გაკაჟებულს უგვანო კლდესა.
 ავწონ-გავზომე, გულმაც მიჩჩია,
 აქ მუშაობა მომცემდა ხელსა...
 სამუშაოარი თქმედი დიდი იყო,
 იჯარით მივეც უცხო პირებსა...
 და ჩვენი ერი მუქთა მქამელი,
 პირ დაღვრემილი შემომყურებსა!
 მანეთ ნახევარს თხოულობს ღლეში,
 ქართველი მუშის ზარმაცი ხელი.
 — უცხო მუშა კი ათ შაურათაც,
 არის მორჩილი და მადლობელი.
 გიჟი ვიყავი, რომ ქართველისთვის,
 ხელში ჩამეგდო სამუშეოარი?...
 სულს ამომხდიდნენ, ტყავს გამაძრობდნენ,
 და დავრჩებოდი ისევ მშვიერი.
 კლდენი და ღრენი ვაქციე სწორად,
 (უკეთესს მითხარ ვიზამდი რასა?)
 და „საპლათფორმე“ **) ადგილი სწორი,
 ხელში შთავიგდე მას შრომის ჟამსა,
 დავსწყევლე ყველა პარტიის ხალხი,
 მათი გზა დავგმე, განზედ გავდექი
 და შარშანდელი ღარიბ-ღატაკი,
 წელს კი სიმდიდრით ფეხზედ დავდექი.
 რისი „პარტია“ რის „პროპაგანდა“,
 ან „პროლეტარი“ მიქვია რასა?
 ერთი მითხარით რათ შევიწუხებ
 სიმდიდრის ყუთზედ მიდებულს თავსა?
 ფიქრათ არ მომდის პარტიის საქმე,
 ვინ მიაქვავებს „პროლეტარს“ სახლსა!
 მოვიდეს გონს და ჩემებრ იშრომოს,
 ჩემსავით იგიც აივსებს დახლსა...

ბოშა.

*) „პლასტი“ არის შავი-ქვის ბელტი, რომელიც უპირველესი ხარისხისაა.

**) „პლათფორმა“ არის შავი ქვის საწყობი ბაქანი, რომელიც სიმდიდრის საფეხურზედ აყენებს პატრონს და რომლის შოვნაც ერთობ ძვირობს

ბოშა.

ს ც ე ნ ე ბ ი ს ც ე ნ ი ს ა თ ვ ი ს .

რეაქციის ნაბოლნა

ესეც შენი ერთობა... რავა გადნა...
 თოვლივით!.. დედა, დედა, რა ამბავი იყო, რას
 შობოდენ, რას ჩადიოდენ!! ქვეყანა თავისი ეგონათ:
 მთა და ბარს ასწორებდენ.. მდიდრები და ღარიბე-
 ბი არ უნდა იყოსო!.. მოდი ახლა და დოურივე
 შენი ქონება... დედავ და, ღეთისაგან დაწესებულს
 სპობდენ... მთა და ბარი ღმერთს ვერ გოუსწორე-
 ბია, ყაზილარები ასწორებდენ!.. მოგეცა გურიელის
 წყალობა.. თურმე, ისე მოდის რეაქცია, როგორც
 ძველად გურულები ჩოლოქის ჩხუბში!.. არ ტოვებს
 არავის.. აგერ ცეცხლი და ნავთი... ეგერ მტვრევა
 და მსხვრევა... იქით ცარცვა და გლეჯა!.. სულ
 ტყავს აძრობს, თურმე, ცოციალისტებს:—მე თქვენ
 გიჩვენებთ ერთობასაო... თავად-აზნაურობას ქე დოუ-
 ბრუნებ ბატონ-ყმობასაო... მერე რა, გონია—ვერ
 იზამს თუ?.. რამდენი ხანია—ჩემს მამულს არაფერი
 მოუტანია. გეაჩნდება—სიმინდი—ნალიაში, ღომი
 —ბელელში, ჭავი—სხვენზე, ღვინო — ქურში...
 დავატრიალებთ ყანწებს—გადავსძახებთ—ხელხვას...
 რა დრო იყო, რომ მომაგონდება! არა, რა ქნეს,
 რავა არიეს ქვეყანა ამ ბაღებმა!.. მოითხოვეს: ხუ-
 ცებმა—ავტოკეფალია, თავად-აზნაურობამ—ავტო-
 ნომია, მუშებმა—ყველა კაპიტალები და გლეხებმა
 —ჩვენი მამულ-დედული „იმენიები“!... არა, ჩვენში
 კი დარჩეს და, ძლიერ აჩქარდენ.. ამ საქმეს თან და
 თან მიყოლა უნდოდა და კიდევ ასრულდებოდა...
 თვარა არც ღვედელიო, არც ბერიო, არც მამასახლი-
 სიო და არც მინისტრაციო, არც თავად-აზნაურო-
 ბაო და არც პოლიციო... —რაღად გვინდა მთავრო-
 ბაო! მაი რაა, აწი ნახე რა იქნება... მესამე დუ-
 მასაც თუ წკება მოადინეს, სწორედ ყოლიფერს
 სტრაჟნიკობა ემჯობინება. ქვეყნის ბატონი და ბძანე-
 ბელი ისინი იქნებინ, და მეც შევალ სტრაჟნიკად,
 და მაშინ ჩემს ბედს ძალლი აღარ დაყეფს!.. ტყუი-
 ლია თუ?!

ვასო ურუშაძე.

გ ა მ ო ც ა ნ ა .

აპოლონის ურცხვი ბუში
 „რიტმალეტი“, მოკარნახე,
 ვით მგოსანი—წუნ უდები,
 ენა ბასრი, ენა მკვანხე.


ბიქად ბიჭი „დელიყანტი“
 ჟური და დონ-ჟუანი,
 და პარტიულ „ინდოურთა“
 საოცნებო რამ საგანი.

„კრატთა“ შორის განთქმულია
 ბოლშევიკი „ნაძირალი“,
 ვინც ამას ვერ გამოიცნობს
 ვაი მისი ცოდვის ბრალი.

ქონდრის კაცი.



უცხოეთის გამოჩენილი მწერლები.



გერმან ზუდერმან (Herman suderman) ერთი საუკეთესო მწერალია გერმანეთში. დაიბადა 1857 წელს. სწავლა დაასრულა ვენიგსბერგის უნივერსიტეტში. ყმაწვილობიდანვე სწერდა ლექსებს, მოთხრობებს. მისი პირველი დიდი რომანი დაიბეჭდა 1887 წელს ხოლო დიდი ყურადღება დაიმსახურა და სახელი გაითქვა თავის შესანიშნავის პიესებით. მისი პიესები „პატიოსნება“, „სოდომის წარღვნა“, „მშობლიურ ტერ ქვეშ“, ცნობილია მსოფლიო მწერლობაში, როგორც საუკეთესო ნიმუშები დრამატიული ხელოვნებისა. ზუდერმანი ეკუთვნის „ნატურალისტების“ სკოლას. მისი დიდი ნიჭი უფრო ყოფა-ცხოვრების აღწერაში იჩენს თავს. დრამატიული ნაწარმოებნი ზუდერმანისა იშვიათის ხელოვნებით არიან დაწერილნი, განსაკუთრებით ქალების ტიპები, და ყველა ხალხის სცენებზე იდგმება. არა ნაკლები მნიშვნელობა და ღირსება აქვთ ზუდერმანის მოთხრობებს და რომანებს. რათქმა უნდა, ზუდერმანი ვერ შეედრება ჰაუპტმანს და იბსენს, მაგრამ ყოველი მისი ახალი ნაწარმოები მუდამ დიდ სჯას და ინტერესს იწვევს ყველგან. ამას წინედ გერმანეთში დიდის ამბით იდღესასწაულეს ზუდერმანის დაბადების ორმოცდაათის წლის თავი.

ქართულად ნათარგმნია ზუდერმანის თითქმის ყველა საუკეთესო პიესები. „გაუმარჯოს ცხოვრებას“, „ფრიცენ“, „პატიოსნება“, „მიკუნტული ბედნიერება“, „სოდომის წარღვნა“, „პეპელათა ბრძოლა“ და „მშობლიურ ტერ ქვეშ“. ყველა ეს პიესები დადგმულა ქართულ სცენაზე და საზოგადოებაც დიდად დაინტერესებულა ყოველთვის. ზუდერმანის ნაყოფიერზედ ბავლენა ქართულ სასცენო ხელოვნებაზე ყოველ ეჭვს გარეშეა.

მ რ ი ბ რ ღ მ რ ი.

ერთხელ ერთმა მეეზოვემ ხელკეტიან — ეესტიანმა, რომელიც რო გამოგზავნა ქვეყნათ შავმა ძალთა—ძალმა,

ეზოს ირგვლივ მოუარა,
 შემოგავა დიდი ცოცხით
 და დამალი ნესე—ყარფუზი,
 იქვე მიდგა ორის გოდრით!
 არ გასულა დიდი ხანი
 ერთს მათგანში გაჩნდა რაცხა,
 მეორიდან ხმა მოისმა:
 უცხო, უცხო, აცხა, აცხა!
 ერთში ვნახე „თავუნია“,
 მეორეში „ეშმაკია“
 ორივე კი თვით ბუნებას
 ზლომა ნაგვით შეუქცია!
 და მას აქეთ თავზე ხურავთ
 მათ გოდრები სანაქებო,
 თან ყვირიან ბაჯალლოა,
 ამფერ ჩვენო ოქროებო!
 სეირობენ ქუჩა—ქუჩა,
 სთავ-ზობენ ერთმანეთსა,
 ნაოქვამია ზრძენისაგან:
 „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა!“

საგიჟეთის ზედამხედველი.


წმიდისა დიდთა მოწამეთა კიშინთვის და მოსკოვის შთავართა ზურაშკევიჩისა და კრუშკინისა და წმიდისა მოციქულთა სწორისა და განმანათლებელისა სტოლიპინისა, მეჩხებთა მათთა შეკვიწყალე და გვაცხვონე ჩვენ წმიდა ბაურთკატო, ვითარცა სსხიერ ხარ და სისწლთ მოყვარე.

„ჭეშმარიტ რუსთა“ სიმბოლო სარწმუნოებისა.

მრწამს ერთი ღმერთი ბიუროკრატია ყოველისა მსაბოებლი, შემუშუგელი დიდის და პატარისა, მართალთა და არა მართალთა და ერთი უფალი პურიშკევიჩი, ძე ბიუროკრატისა მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა პაბრობთა. ღმერთი ღვთისაგან, ბნელი ბიუროკრატისაგან. პაგრომი ჭეშმარიტი „რუსთაგან ჭეშმარიტისა“ შობილი და ქმნილი კიშინოვსა, ბელოსტოკსა, ადესასა და სხვა ქალაქებსა შინა, დამარსი რომლის არს პურიშკევიჩი. რომელი ჩვენთვის „ჭეშმარიტ კაცთათვის“ და ჩვენისა სიბნელისათვის გარდამოხდა მოსკოვით და ხორცი შეისხა სულისაბან ბოროტისა და რეაქციისა ქალწულისაგან განძალდა. და ჯვარს ეცვა ჩვენთვის მეორესა დუმასა ზედა და დაივნო სხდომასა ზედა და დაეფლო ბინძურებასა შინა თვისთა და აღსდბა მეთექვსმეტესა სხდომისა დღესა მგავსად წერილისა გოლოვინისა. და ამაღლდა პეტერბურგად სიბინძურე მისი და მდგომარე არს მარადის მარჯვენით ბიუროკრატისა, და კვალად მომავალ არს მესამესა დუმასა შინა დიდებით განსჯად ქართა და ნაგავთა თვისთა, რომლისა სუფევისა ჩქარა არს დასასრულ. და სული წმინდა უფალი სტოლიპინი და მეკდართ მყოფელი, რომელი შხამისაგან გამოვალს, შხამისათანა და კუპრისათანა თავქვას იცემების და იბლიჯების, რომელი იტყოდა წინასწარ მეტყველთა ღმერთისათა მიერ. და ერთი წმიდა კრუშკინი და სამოციქულო სახრჩობელა, ვადვიარებთ ერთსა აჯანყებასა მოსასაბოებლათ „კრამოლთა“. მოველით აღდგომასა ძველისა წესებისა და ცხოვრებასა მის საუკუნესასა ამინ.—


ს. მ. კ—ძე.

რედაქტორი და მხატვარი.



მხატვარი: რაგონტ ქართულ მამულიშვილს —
მე მეგონა მეტს მამცემდი
და ქართული, ქართულ მხატვარს
უფრო მეტად მატეფს მცემდი.

რედაქტორი. აბა თქვენგან ეგ არ მიკვირს?
მამულიშვილს, რომ მთხოვთ მეტსა.
ისე უნდა მამცემადით
ვით შემკენის ქართულ ძესა.



ღრამატიული სელოვნება.

მქიმთან *

ვლდეილი ერთ მოქმედებათ.

ივ. გომართელინა.

(შემოდის გლეხის ქალი შუა ხნისა, ძლიან მსხვილი და შეფუთვნილი შალში, და უკან შემოყვება ორი ქალი და ორი კაცი. თავს უკრავენ და შეფუთვნილი ქალი სკამზე დაჯდება ქშენით).

ექიმი. ათმოყოფი თქვენა ხართ?

ავათმოყოფი. (კენესით) მე ვარ შენი კირიმე, განა არ მეტყობა?

ექიმი. აბა მომიყევით, რანაირათ ავადმოყოფობთ.

ავათმოყოფი. ჩემი ავანტყოფობა, შენ დაგენაცვლე, დიდი ხნის ამბავია.

ერთი ქალი. მაგას, ბატონო, ზაფრის ქარები უნდა აწუხებდეს.

ავათმოყოფი. ქარები მკლამს, ბატონო, რები. ზაფრის არიო, მეუბნებიან, მარა რა ვიცი მე შავდლიანმა რისია. საცა რას გვეიგონებ, ვზი-დამ და ვზიდამ წაშალს თუ აფთიაქიდან, თუ სოფლის წამალს, მარა არ დამადგა საშველი, არ ვიცი, მისადგომი წამალი არ შემხვდა და არ ვიცი, ჩემი ავადმოყოფობაა მოურჩენელი. მარა, თუ მოურჩენელია რატომ არ მომკლა ამდენი ხანი?

ერთი ქალი. მოურჩენელი რომ იყოს, შე ქალო, აქამდის რავე გოუძღვებდი, ათი წელიწადია ასე ხარ სულ.

ავათმოყოფი. რა ვიცი, ქვე კი დევიტანჯე და სხვაც დავტანჯე და.

ექიმი. რამდენი ხანია ავით რომ ხართ?

ორი მხლებელი ქალი. (ერთათ) ათი წელიწადი იქნება, ბატონო!

ავათმოყოფი. ჩემი უბედური ქმარი რო გადამეცვალა, მის დღეს აქეთ ასე ვარ და ათი წელიწადი არიო, მეუბნებიან. მე აღარც წელიწადი გამეგება და აღარც თვის ანგარიში.

ექიმი. რანაირათ გაწუხებთ ხოლმე?

ორი მხლებელი ქალი. (ერთათ) ცხადათ დოუარება, ბატონო, ყველგან!


ექიმი. მაგას დააცალეთ. თავის ამბავი მაგან უკეთ არ იცის, ვიდრე თქვენ?

ავათმოყოფი. ხელში, ფეხში, ძვალში, რბილში, კანში, თავში, ტანში, ხორცში, ფრჩხილებში — ერთის სიტყვით სულ ყველგან ცხლათ დამიდის. მარა ამისთანა ავანტყოფობა არ გამიგონია: რავარც უბრალოთ პატარა სივრილე მომხვდება, სიკვდილის პირზე მიმაყენებს.

ერთი ქალი. აბანოხედაც ბევრჯერ გვეყვანდა, ბატონო, მარა არ მოუხნდა, ვუარესი უქნა ხოლმე.

მეორე ქალი. ახლა მიტომ უფრო მოვიყვავა-

სახელმწიფო მესაე „დუმის“ მოლოდინშია!




ზაჭიყილის მოლოდინში მას გული გადკვლია, მოტეხსენებათ ღოდინი, რა ტანჯვას და ძნელის! მაგრამ უფრო ძნელი არა მიიწვიან ხვენი „დუმის“ და ზაღური მოუმიზადონ თვისეიურათ ჩუმ-ჩუმს.

*) იხილე „ნიშაღური“ № 5.


„ჭეშმარიტ რუსთა“ ამომჩველები.

ჭკუა მოკლე—გრძელ თმინი.



— წავაგეთ, ძმა, თუმცა ამ წაგებას ჩვენ სუფუქ-
ლანი წინეთვე ვგრძნობდით.
— კი სულ ერთია, ასე თუ ისე, ამ დღეს ჩვენ
მანინც დაგიბრებდით!

„ქვეყანა დამშვიდებულია“!



ის საიქია ამ საიქიანს.


ნეთ შენთან, რო თუ აღარაფერი წადგება და მო-
სარჩენი პირი აღარა აქ, ნუ დაგვიმალავთ და ნუ-
ღარც წამალს გამოგვიწერთ.

ავათმყოფი. თუ კი აღარაფერი წამადგება,
შენი ჭირივე, ქვე მანც აღარ დევიხარჯები.

ექიმი. აბა გაიხადეთ ზედა ტანისამოსი. და
გავსინჯავთ. (ექიმა მავადსთან დაჯდება).

ავათმყოფი. სიო რომ მოახვდეს შენი ჭირივე,
რალა მეშველება!

ექიმი აქ სიოს რა უნდა? (ავათმყოფს ნელა-
ნელა ხსნიან სამს შალს, რომელიც ზევიდან ასუვია.
შემდეგ ერთ ზედა ტანს გახდა, მერე მეორეს, მერე
მესამეს, შინგნით სამი ფუფაკა აცია და იმას სთა-
თათ გააძრბენ. იმას გარდა სამი ზურანგი აცვია).



ერონული
ნიგლიროთიკა

ორვე ძრახა—საქანელი, ერთი მეორეს მწველია
ერთი რძეს მანინც იძლევა, მეორე კი სულელია.

ექიმი. (გაცეცხული) რა ამბავია ამდენი ტანი-
სამოსი ამ სიცხეში? ამას მოუყვლიხართ თქვენ!

ავათმყოფი. ეს კიდევ ცოტაა შენი ჭირივე.
ვატყოთ, რომ კიდევ არა მყოფნის. ერცახე სიგრი-
ლე საწამლავით მეცემა ხოლმე.

ექიმი. (მიუახლოვდება, ზურანგებს აუწევს) მთლათ
ოფლში ხართ გაწურული. როგორ შეიძლება ამ-
დენი ტანისამოსის ჩაცმა? სანამ ამ ჩვეულებას არ
მოიშლით, არივითარი წამალი თქვენ არას გიმ-
ველით.

ავათმყოფი. (კვნესით) არ ყოფილა ჩემი საშ-
ველი და ეს არის. ასე რომ არ ვიცვამდე, შე და-
ლოცვილო, აქამდე ჩემი ძვლები აღარ იქნება.
ამითი მოვაწიე აქამდინ. (ექიმი დიდხანს სინჯავს
უფასო მხრადან, შემდეგ გაცრიადებს მავადსთან და
რეცეპტს სწერს.)

ექიმი. ახლა ჩაიცვით. (აწმეკენ) თქვენი ავათ-
მყოფობაა ძარღვების სისუსტე, ძარღვების ავათ-
მყოფობა.

ერთი ქალი. (თან აწმეკს და თან დახმარავს)
ვითამ ჩვენის ფიქრით, ბატონო, შიშზე უნდა ჰქონ-
დეს შემდგარი.

ექიმი. უთუოდ. ისეც სუსტი ძარღვები ჰქონია
და, თუ ძალიან შეეშინდა, ესეც იქონიებდა გა-
ლენას (სწერს).

მეორე ქალი. ნამდვილი სიტყვაა სწორეთ,
შენ მანამდინაც არ იყავი კარგათ, მარა იმ უბე-
ღურებას აქეთ ნამეტანი მოგეძალა.

ექიმი. (რეცეპტი მოაქვს) აი ეს წამლები უნდა
იხმართ, რაც აქ დაგინიშნეთ, მაგრამ ერახელ და
ორჯერ არ გეყოფათ: ორ თვეს მანც არ უნდა
გამოილიოთ. მხოლოდ თუ გინდათ, რომ წამალმა
გავლენა იქონიოს, ნელ-ნელა ტანისამოსი უნდა
შეამციროთ, თორემ მაგდენი საცმელი მთლათ
აფუჭებს თქვენს ძარღვებს (ავათმყოფი რეცეპტს ათ-
მეკს, გლეხი ქისხს აზოილებს, ფუფს ტოვებს, თავს

უკანა და გადას. შემოდის ხსლგაზრდა უმწვილი; ლურჯ ხსლათხე „ხიდეკი“ აცვია, ხელში მისვლილი ჯიხი უკავია, ამაყთა მოდის და შუა ლაგას შედგება).

ექიმი. თქვენ რა გნებავთ?

ყმაწვილი. პროლეტარს არაფერი არა ნებავს, —ის იბრძვის და ბრძოლით იკაფავს გზას.

ექიმი. (გაჰვიწყებუდა) რა შუაშია აქ პროლეტარი და მისი ბრძოლა, არ მესმის.

ყმაწვილი. (ხელის გულს გაუშვებს) აი დახედე და გაიგებ, რა შუაშიც არის: მე მუშა ვარ—პროლეტარი.

ექიმი. ფრიათ სასიამოვნოა, მაგრამ ჩემთან რისთვის მობრძანდით?

ყმაწვილი. კი არ მოვბრძანდი, მოვედი. დაბრძანებით მხოლოდ ბურჟუები და ფეოდალები დაბრძანდებიან, მაგრამ პროლეტარიატის მარჯვენა (ერთ მუშტს ააშვენს ქნევით და მეორით ჯიხს ახსახუნებს) მალე დაღეწავს მათს ბატონობას. მუშა დადის, ის არ დაბრძანდება, შენ რათ მელაპარაკები აგრე: (სცინებს) რა გნებავთ, რისთვის მობრძანდით!

ექიმი. (გულმოსული) ეს მხოლოდ ჩვეულებრივი ზრდილობის გამოხატვა არის. რაკი თქვენ ზრდილობიანი ლაპარაკი გეზარებათ, ინებეთ: რისთვის მოეთერი? (გამოტრიალდება მადისაგან).

ყმაწვილი. დედა მყავს ავით და უნდა წამომყვე.

ექიმი. აღრესი დამიტოვე და მე თვითონ მოვალ (სასახს დასწერებას) ორი საათის შემდეგ.

ყმაწვილი. ახლა უნდა წამოხვიდე.

ექიმი. ახლა არ შემიძლია, რადგანაც დიდი ხანია, ავთამყოფები იცლიან და ჯერ ისინი უნდა გავისტუმრო.

ყმაწვილი. მაშ ავთამყოფი ყოფილა დობტურისათვის და არა დობტური ავთამყოფისათვის! მე ახლა მიჰირს და დობტურიც ახლა მინდა.

ექიმი. (კარბისაგან გაუშვებს ხელს) ესენიც გაჰვირებამ მოიყვანა ჩემთან. მე ახლა ამათ ვეკუთვნი. როცა ამათ გავისტუმრებ, მხოლოდ მაშინ შემიძლია სხვაგან წასვლა ავთამყოფის სანახავათ.

ყმაწვილი. (ხმის უფრო უმატებს) ბურჟუა რომ მოსულიყო, იმას ხომ მაშინათვე გაჰყვებოდი უკან! (მუშტს ააშვენს და მიდის) პროლეტარიატის ბრძოლა მალე მოვიღებთ ბოლოს, მალე! (გადას და კარებს მიანახუნებს).

ექიმი. ამდენი გადარეული ყოფილა ამ ქალაქში და საგიჟეთი კი ერთიც არ არის! (კარეთ ხმარებას ატედას, შემდეგ კარები გაიღება და შემოვა შუა ხნის კნეინა მოძველდა ტანისამოსში. უკან იასახი მოყვება).

იასონი. თქვენი ოჩერედი არ არის ჯერ. (ექიმს) ახლა მოვიდა, ბატონო!

კნეინა. (ეურს არ უგაბებს და დაჯდება) უზრდელები, მუჟიკები! ხალხს ვერა სცნობენ!

ექიმი. (იასონს) რა ამბავია, რა მოხდა?

იასონი. ბატონო, ესენი ახლად მოვბრძანდნ და გინდა თუ არა, ახლავე უნდა შემიძლიაო სცინები რამდენი ხანია, იცლიან. იმისთანა მკრა გულზე ხელი. რომ გულის ფიცარი ჩამამტვრია ღარმე.

კნეინა. (გაცხარებულა) აგრე მოგიხდება, შე მუჟიკო, შენა! ეს ვინ ოხერი მამაძალი დაგიყენებიათ, რომ...

იასონი. (გულ მოსული გააწყვეტინებს) მამაძალი მე არა ვარ, მაგრამ თქვენს ოჯახში ალბათ ბევრი უნდა იყოს.

კნეინა. (წამდგება და ქოლგით დაუტრიალდება. ექიმი ხელთ ანიშნებს იასონს და ისიც კარეთ გადას) ვის უბედამ, შე მამაძალი, შე მუჟიკო, შენა! ჰაა!

ექიმი. (იასონს) შე უზრდელო, შენა! (კნეინას) დამშვიდდით, დამშვიდდით, აგრე რათა ცხარობთ?

კნეინა. (დაჯდება) როგორ თუ რათა ვცხარობ? კნიაზ ჩხეტიანის კნიაჟნა ვარ და კნიაზ რეტიანის კნეინა.

ექიმი. (სცინისაგან) გვარი სწორეთ რომ შესაფერისი ჰქონია.

კნეინა. ნამესტიკთან ვყოფილვარ, ველიკნიაზებთან, გუბერნატორთან და მინისტრთან და ე თქვენი სახლი რა შეიქნა ამისთანა, რომ ოჩერედს უნდა ვუცადო?

ექიმი. მე ამგვარი წესი მაქვს: ყველა ავადმყოფი რიგ რიგათ უნდა ვინახულო.

კნეინა. ავადმყოფიც არის და ავადმყოფიც.

ექიმი. თქვენ იმდენათ მძიმე ავთამყოფი არ უნდა იყოთ, რომ თქვენი რიგის მოცლა არ შეგეძლოსთ.

კნეინა. თქვენ იქნება მე ვერა მცნობთ? მე კნიაჟნა ჩხეტიანისა ვარ და კნეინა რეტიანისა.

ექიმი. გეტყობათ, კნეინა, მაგრამ მაინც თქვენს რიგს უნდა მოუცადოთ.

კნეინა. (ხელს ტუჩზე მიადებს და ცხარებას) როგორ? მე კნიაჟნა ჩხეტიანისა, კნეინა რეტიანისა ვილაც მუჟიკებში უნდა ჩავჯდე და ვუცადო, სანამ იმათ არ გასინჯავთ?

ექიმი. ავთამყოფი სულ ყველა ერთია. ექიმთან კნიაზი და მუჟიკი არ არსებობს.

კნეინა. როგორ თუ ერთია? კნიაზი და მუჟიკი აბა ერთი? მე კნეინა და სოფლის წუბაკი დედაკაცი ერთი ვართ?

ეს რა მესმის? მეორეთ მოსვლის ნიშნებია სწორეთ! (ხიფჟვანს იწვენს).

ექიმი. (ცოტა ხმს მადდას) რაგს ვარეშე მე ვერ გავსინჯავთ. თუ გნებავთ, მოიცადეთ, თუ არა და წაბრძანდით,—თქვენი ნებაა. (კარებს ადებს) იასონ, მოვიდეს შემდეგი ავთამყოფი. (გამბრუნდება).

კნეინა. (ადგება და მიდის) შენც მუჟიკი ყოფილხარ და გაუზრდელი (შეგებას და ცოტა სცინისაგან მოტრიალდება) მუჟიკმა რაც უნდა ისწავლოს, მაინც მუჟიკია და მაინც. წავიდე ჩქარა აქედან, ე რა მხეცებში ჩამოვარდი! (გადას, შემოდის მოსული სხვილი დედაკაცი, თავს უკანავს და დაჯდება).

(შემდეგი იქნება).

პროვინცია.

ქუთაისის რამე-რუმე.

— ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამ ბოლო დროს, როგორც კედელზე გაკრულ განცხადებიდანა სჩანს, ძლიერ „გააკურატებულა“ და თავის მოსამსახურეთაგანაც ასეთსავე „აკურატობას“ თხოულობს. ხსენებულ განცხადების ძალით ყოველი მოსამსახურე ვალდებულია დილის ცხრა საათზე გამოცხადდეს სამსახურში და ნაშუადღევს 2 საათამდის თავის პირდაპირ მოვალეობას უნდა ასრულებდეს და კიდევ სხვა ბევრი ამისთანები, მაგრამ მაგარი ის არის, რომ სიტყვა სხვა, — საქმე სხვაა, შუა უძევს დიდი ზღვარი...

— ექიმმა ნასარიძემ ამ ბოლო დროს ლიტერატურასაც კი დაუწყო არშიყობა; უთუოდ ჰგონია, რომ მის შაბლონურ არშიყობას ლიტერატურაშიაც ისეთი გასავალი ექმნება, როგორც ხანში შესულ ქუთათურ მანდილოსნებში აქვს. პირველად მან რუსულად დაიწყო წერა, მაგრამ, როდესაც შეატყო, რუსული არ წყალობდა, ისევ დაწუნებულ ქართულს დაუბრუნდა და, აი, გაზეთ „ცისკარში“ დაიწყო წერილების ცხობა „ქალაქის თვითმართველობის“ სათაურით. თავის პირველ წერილში პატრიცევული ესკულაპი, თითქოს ახალი ამერიკა აღმოეჩინოს, რიხიანად აუწყებს ქვეყანას ქალაქის საბჭოს არჩევნების არსებულ წესის უკუღმართობას, ქუთაისის სიღარიბეს, მოუწყობლობას, ანტისანიტარულ მდგომარეობას, კარგი წყლის უქონლობას, ქუჩების უვარგისობას, გაუნათებლობას და სხ. და სხ. აუწყებს აგრეთვე, რომ ტალახიანსა და ოღროჩოდრო ქუჩებს ხის კუბიკებით მოგებული ქუჩები სჯობია, რომელიც ყოველ დღე უნდა იგვებოდეს და წყლით ირეცხებოდეს; აღნიშნავს იმასაც, რომ ის პეტერბურგშიაც კი ყოფილა, სადაც თურმე უკეთესი ქუჩებია ვიდრე ქუთაისში, და სხვა ამგვარები. ერთი სიტყვით, სრულს ქეშმარიტებას ლაღდებენ ბაგენი ჩვენის პატივის მოყვარე ექიმისანი. ასეთი მეცნიერული წერილის ავტორს მოდი და კიდევ ნუღარ ამოირჩევ სახელმწიფო სათათბიროს წევრად! როგორც გავიგეთ, ბ-ნი ნასარიძე იმიტომ უფრო ცდილობს ისე თავგამოდებით სათათბიროს წევრობას, რომ შეძლება მიეცეს პეტერბურგს წავიდეს და კარგად დაათვალიეროს ხის კუბიკებით მოგებული ქუჩები, რომ შემდეგ ქუთაისის ქალაქის საბჭოს მოხსენება წარუდგინოს ამგვარად ქუჩების მოგებისა.

— ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფეებს ერთხმად დაუდგენიათ დეპუტაცია გაუგ-

ზანონ. რობაქიძეს, რომელსაც სოციალ-დემოკრატები სათათბიროს წევრად ირჩევენ, და სთხოვენ, რომ უარი განაცხადოს სათათბიროს მომადლოს წევრობაზე და ობლად არ დატოვოს მთელი სასწავლებელი. ეს ამბავი თურმე ძლიერ აწუხებს ს.-დ-ებს, რომელნიც ბ-ნს რობაქიძეს საუკეთესო კანდიდატად სთვლიან, როგორც ძლიერ ახოვანს და კრიესა და ლანძღვა-გინებაში მეტად დახელოვნებულს.

მეგობარი.


მიქელგაბრიელი (გურია) მოლოდინშია! გამიგონია, ქრისტე ღმერთმა თავისი უხვი კალთა ამ ჩვენს მშვენიერს საქართველოში დაიბერტყაო; არ ვიცი, რამდენათ მართალია ეს, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ სასტიკი გენერალი, გურიას რომ ესტუმრა, თავისი მძლეთა-მძლევ კალთები ამ ჩვენს მიქელგაბრიელის საზოგადოებაში დაიბერტყა. სოფლელები ოღონდაც რომ ამაცობენ ამით. მას შემდეგ ოზურგეთელ მთავრობასაც „ახეში ცყევართ:“ ზაფხულის განმავლობაში ორჯერ გვესტუმრა ეკზეკუცია. რაც 5000 მანეთად გვიღირს. (ცემა-ტყევა და ცდენა, ანგარიში არ შედის!).

— ეხლა ისევ გავებენიერდით: ამას წინად ბოქაული გვესტუმრა და გამოგვიცხადა: „საჩქაროდ აავეთ ცხენებისათვის საჭირო ყაზარმა და სურსათი დაამზადეთ, მოვდივართო. (ბოქაულმა მწუხარება გამოსთქვა, რომ მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ამდენ ხანს უყურადღებოდ დავრჩით). სოფლელები შეუდგნენ თადარიგს: დედაკაცები დაუბატიყებელ სტუმრებისათვის ქათამ-ბატ-იხვ-გოჭ ინდოურებს ასუქებენ; მამაკაცებმა მუშაობას თავი გაანებეს და დღიან ღამიანა სუფსის ღელეში კიბოებს იქერენ. ჩემს კითხვაზე რად გინდათ ამდენი კიბოები მეთქი, მომიგეს: „კოწიას უყვარს, ძმავ, და რომ გვესტუმრება, მივართმევთო! წინად რომ ეკზეკუცია გვყავდა, კოწიამ მაშინ მოითხოვა კიბოს შექამანდი, მაგრამ უკაცრავათ დაგუხვდით. ეხლა იმედია იმის გულს მოვიგებთო“..

— ჩვენს სოფელში, ვისაც ათ-ხელ მაინც ჯაშუშობა არ გაუწევია, „ბუნტოჩიკად“ ითვლებიან და იქერენ. თხუთმეტიოდე ასეთი „ბუნტოჩიკი“ კიდევაც დაატყვევეს გასულ თვეში და ოზურგეთისაკენ გაისტუმრეს. გზა-და გზა ტუსაღებს გვერდებში „მასაჟს“ უკეთებდნენ. ოზურგეთში, როგორც გავიგე, იმათ ჯიბეებისათვის რევიზია უყვიათ. ვისაც მთელი ჯიბე აღმოაჩნდა, გაანთავისუფლეს. დანარჩენები ღღესაც სატუსალოში სხედან და ცივს ქვეყნებზე ოცნებობენ.

«ბუნტოჩიკი»,

დამწიფებული ხეხილი.



რედაქციის საგან.

ბ-ნი კალ. ფირცხალაშვილი გვთხოვს... რომ ნიშაღურის მე-5 №-ში მოთავსებული... „ტფილისის სალახის ბმირებს“ მას არ ეკუთვნის, როგორც ავტორებს, თურმე ერთი უმთავრესი „გმირთაბანი“ ფარსე-ლა ვართანიანცი. ვამოწმებთ რა ბ-ნი ფირცხალაშვილის სრულს დამოუკიდებლობას „ნიშაღურის“ რედაქციასთან, არ შეგვიძლიან არ გამოვსთქვათ ჩვენი ბაოცება—საიდან მოსკრა ფარ-სელა ვართანიანცმა ასეთი „კომბინაცია“? ჩვენ საკმაოდ ვი-ცით ვართანიანცის ქამლეონისებური სოციალისტობა და ბუშმენური ეტიკა

ეს შრომა შებადისაა ძადათ აწიფებს ნაყოფსა, დრო მოვა თვითვე ტოტეში თავს შეახსირებს გაჭეოფსა!

რედ.-გამომცემელი ვალერიან გუნია.

წერილი „შურდულის“ რედაქციის მიმართ.

გთხოვთ გვიშუამდგომლოთ თქვენის ჟურნალის ბათუ-მელ თანამშრომლის წინაშე კეთილ—ინებოს და გვაუწყოს რა ბერი პალტოების ყიდვა და ტარებაა წელს ნება—დართული. ყურადღებით წავიკითხეთ მის მიერ შეკრებილი და ჟურნ. „შურდულის“ მე-3 №-ში გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობები, მაგრამ ზემოთ-მოყვანილი კითხვის პასუხი იქ ვერ ვიპოვეთ: ბავივით მხოლოდ, რომ იაფ—ფასიანი საქონლის ყიდვა არ ვარგებულა, მაგრამ, აბა თქვენ ბრძანეთ, განა ეს კმარა?

დიდად დაგვაველებს, თუ პრეის-კურანტსაც გამოგვიგზანის და მასთან ნიმუშით—თავის ძვირფას პალტოსაც.

დასასრულ, თუ თქვენც საჭიროთ დაინახოთ, ურჩიეთ, რომ თავის საოხუნჯო სტატიების სიუჟეტით უფრო საზოგადო ხასიათის ფაქტები აიღოს, თორემ ი. ღ. იაფ-ფასიანი კლოკი აქვს რუ ძვირფასი, ამის წერით ბევრს ვერაფერს საზოგადოებას მოუტანს საზოგადოებას: ამ მოვალეობას უბრალო ქორიკანებიც კარგათ შეასრულებენ.

დავშთები მარად თქვენი პატივის-მცემელი—X.

ს ა ჭ ი რ ო ა

„სორაპანის“ ამხანაგობისათვის აგენტები კამე-რციული საქმეებისათვის, შემდეგ ადგილებში.

- 1) გორში. 2) მიხაილოვში 3) კიათურაში
- 4) ქუთაისში 5) სამტრედიისში 6) ხონში 7) ზუგდიდში
- 8) ოზურგეთში 9) ლანჩხუთში 10) ჩოხატაურში
- 11) ბათუმში 12) ფოთში 13) სოხუმში 14) განჯაში
- 15) ერევანში 16) ყარსში 17) ბაქოში
- 18) ვლადიკავკაზში 19) თელავში 20) სიღნაღში.

თითოულმა აგენტმა უნდა წარმოადგინოს „ზალოგათ“ 30. მანეთიდან. დაწყებული 300 მან. იმის და მიხედვით თუ აგენტი რომელ ქალაქიდან და დაბიდან იქნება, უკიდურეს შემთხვევაში მიიღება ზალოგათ, სანდო პირისაგან ხელ მოწერილი ვექსილიც. აგენტს ექნება თვიურად შემოსავალი 25 მანეთიდან 150 მანეთამდის.

მსურველს შეუძლია მიმართოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ Типографія Т—ва „Сорапанъ“. აქვე შეიძლება დაწვრილებით პირობების გაგება.

დღევანდელ ნომერთან ერთად ურიგდებათ ხელის მომწერთ

პ. ს. დოროჟნოვის

მაღაზიის სეზონის უწყველი 1907 წლისა

ვთხოვთ მკითხველებს, გაზეთის გამყიდველთ მოსთხოვონ ეს ფურცელი